

**სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი აცხადებს ვაკანსიას იურისტის თანამდებობაზე**

**თანამდებობრივი სარგო:**

**ვაკანტური ადგილების რაოდენობა:**

**სამუშაოს ტიპი:**

**გამოსაცდელი ვადა:**

1
სრული განაკვეთი

**სამუშაოს აღწერა:**

- ხელშეკრულებების, მათ შორის უცხოენოვანი ხელშეკრულებების, მომზადება-შედგენა. ხელშეკრულებებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, ასევე ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული შეთანხმებების მომზადება;
- მაუწყებელში შემოსული ხელშეკრულებების იურიდიული კუთხით განხილვა;
- უცხოენოვანი ხელშეკრულებების იურიდიული კუთხით ექსპერტიზა-ანალიზის განხორციელება და შესაბამისი დასკვნისა თუ შენიშვნების მომზადება;
- ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სადავო საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება;
- სასამართლო ორგანოებში სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" უფლებების და ინტერესების წარმოდგენა და დაცვა. შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით აუცილებელი დოკუმენტაციის (სარჩეულების, შესაგებლების, საჩივრების და ა.შ.) მომზადება;
- სახელმწიფო ორგანოებთან, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან და კერძო სამართლის სუბიექტებთან ურთიერთობებში საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლობა სადავო სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით;
- მიმდინარე სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი დასკვნების მომზადება;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის ბრძანებების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სხვა აქტების პროექტების მომზადება;
- საჯარო ინფორმაციის გაცემა; საჯარო ინფორმაციის გაცემასთან და მაუწყებელთა ქცევის კოდექსით გათვალისწინებული პირობების დარღვევასთან დაკავშირებით მოქალაქეებისა და იურიდიული პირების განცხადებების, საჩივრების/ადმინისტრაციული საჩივრების განხილვა, აღნიშნულ განცხადებებზე და საჩივრებზე/ადმინისტრაციულ საჩივრებზე სამართლებრივი რეაგირება და საზოგადოებრივი მაუწყებლის შესაბამისი გადაწყვეტილებების მომზადება;
- სამართლებრივ საკითხებზე საქმიანი წერილების მომზადება;
- ორგანიზაციის სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებისთვის იურიდიული კონსულტაციების განწევა;
- სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე საჭირო ღონისძიებების ჩატარება და უშუალო უფროსის სხვა დავალების შესრულება.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- აუცილებელია უმაღლესი იურიდიული განათლება (სასურველია მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული);
- აუცილებელია სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;
- აუცილებელია ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა.

დანიტერესების შემთხვევაში, გთხოვთ შეავსოთ სააპლიკაციო ფორმა შემდეგ ბმულზე:  
<http://1tv.ge/projects/hiring/>

აპლიკაციების მიღების საბოლოო ვადაა 2015 წლის 28 სექტემბერი.